

# მარიამ აქუბარდია MARIAM AQUBARDIA

# გურამ საყვარელიძე GURAM SAKVARELIDZE

2021 წელს გურამმა და მარიამმა გადაწყვიტეს შეექმნათ პირველი ქართული გრაფიკული ნოველა იძულებით გადაადგილებულ პირებზე. მინი სერიების მთავარი გმირი თავად მარიამი და მისი ისტორიაა - ბავშვი, რომელიც დევნილობაში გაიზარდა. კომიქსი მოგვითხრობს საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ეპიზოდზე ბავშვის პერსპექტივიდან და ამგვარად, შემოაქვს ის ადამიანური განზომილება ისტორიაში, რომელიც სამყაროსთვის მშრალ ციფრებად და სტატისტიკად დარჩა.

In 2021, Guram and Mariam decided to create the first Georgian graphic novel about internally displaced people. The protagonist of the mini-series is Mariam herself and her story - a child who had to be raised as a refugee. The comic series tells the story of one of the most tragic episodes in the recent history of Georgia from the perspective of a child and thus brings a human dimension to the history that has remained as dry figures and statistics for the world around.



**რა გჭირდებათ, რომ სამუშაო პროცესი შედგეს?**

**მარიამ აქუბარდია:** ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სიმშვიდე, რომ სრულად ვკონცენტრირდე საქმეზე. ხმაური, არეულობა და ქაოსი ნებისმიერი ფორმით ხელს მიშლის ვიზუალურ და ვიმოქმედო შემოქმედებითად.

**გურამ საყვარელიძე:** ინსპირაცია და საბოლოო ნამუშევრის, როგორც სხვებისთვისაც მნიშვნელოვანი პროდუქტის დანახვა ჩემთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს სამუშაო პროცესში. ამ ორი ფაქტორის არარსებობის შემთხვევაში, მიჭირს მოტივაციის პოვნა. თუმცა ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შემოქმედებითი ნამუშევარი შემიქმნია მუშაობის პროცესში, ყოველგვარი ინსპირაციისა და გეგმების გარეშე.

**WHAT DO YOU NEED TO GET YOUR CREATIVE PROCESS DONE?**

**Mariam Akubardia:** The most important thing for me is peace, to fully immerse myself in work. Noise, disorder, and chaos in any form prevent me from working creatively.

**Guram Sakvarelidze:** Inspiration and seeing the final work as something significant to others plays a big role in my creative process. In the absence of these two factors, it is hard for me to find any motivations. Although, there have been cases when I created something in the middle of working without any inspiration or planning.

**რის თქმას ცდილობთ თქვენი ნამუშევრებით? და ხართ თუ არა შედეგებით ყმაყოფილი?**

**მარიამ აქუბარდია:** ჩემი ნამუშევრით მსურს, რომ ჩემი მეხსიერება ვიზუალურად გამოვსახო. ამ დროს, ნამუშევარზე მეტად თავად პროცესით ვიღებ სიამოვნებას. ვიზუალური მხარის მიმართ კი ყოველთვის ვინარჩუნებ კრიტიკულ მიდგომას, რომ ჩემთვის მაქსიმალურად მისაღებ შედეგამდე მივიღდე.



**გურამ საყვარელიძე:** ჩემთვის ხელოვნებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევრით ადამიანებს შორის კავშირის დამყარებაა. მსურს, რომ წუთიერად მაინც დაახლოვდნენ ერთმანეთისგან დისტანცირებული ინდივიდები, დაინახონ ერთმანეთში საკუთარი თავები და ამგვარად გაქრეს ის უხილავი ბარიერი, რომელიც ყველას გამოუვალ მარტოობაში ამყოფებს. შედეგით კმაყოფილი არასდროს ვარ, რადგან ყოველთვის არის შესაძლებელი უკეთესის მიღწევა.

**WHAT ARE YOU TRYING TO CONVEY WITH YOUR WORK? ARE YOU SATISFIED WITH IT?**

**Mariam Akubardia:** With my work, I would like to express visually my memories. In the meantime, I get more pleasure from the process itself than the result. But I always stay critical toward the way it looks so that I can reach the result of my liking.

**Guram Sakvarelidze:** To me, the most important thing in art is to connect different people with it. I want distant people to get closer to each other even for a minute and see themselves in each other. This way, I want the invisible barrier which holds them in hopeless loneliness to dissipate.





აზიარებდნენ საკუთარ ისტორიებს და გამოცდილებებს, ამგვარად, დადა ჩვენი ნათესავის სახლშიც ისმენდა უამრავ ამბავს როგორც აფხაზთა, ისე მის მიმობლებსა თუ ნათესავებზე, როგაღთა უმრავლესობას თბილისში, აშთაისში და სხვა ქალაქებში მოუწია თავის შეფარება.



ბევრი მოდიოდა ჩვენთან მოკუპირაბული რაგიონიდან და მალევე ოჯახის წევრების სანახავად გააშურებოდა ხოლმე. მთავრად გამოჩნდებოდა აფხაზთა და ჩვენთან ჩერდებოდა გაურკვეველი ვადით.



ასევე იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც სხვისი სახლებიდან გადმოდიოდნენ დროებით, რომ მერა წასულიყვნენ და ისევ ვინმეს სახსოვრებულში ან ფუნდში-დაკარგულ შანოტაში უბრალოდ რაბინათ თავი.

**რას ნიშნავს იყო ხელოვანი ადამიანი?**

**მარიამ აქუბარდია:** ჩემთვის იყო ხელოვანი განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს. ყველა პროფესია თანაბრად მნიშვნელოვანია. მთავარია ადამიანი არჩევანში იყოს გულწრფელი და საკუთარი საქმით სიამოვნებას იღებდეს.

**გურამ საყვარელიძე:** ყველა ადამიანი არის შემოქმედი, მინიმუმ საკუთარი პიროვნების. ზოგს მეტი მოტივაცია აქვს საკუთარი შემოქმედება სხვებსაც გაუზიაროს და ამისთვის სხვადასხვა ფორმატს იყენებს.

**WHAT DOES IT MEAN TO BE AN ARTIST?**

**Mariam Akubardia:** To me, to be an artist means nothing special, really. Every profession is equally essential. The influential thing is for a human to be honest in their choice and love what they do.

**Guram Sakvarulidze:** Every human is a creator of some sort, at least to their personality. Some have more motivation to share their work with others and choose different ways for it.

**რა შეუძლია ხელოვნებას ისეთი, რაც სხვა არც ერთ დარგს შეუძლია?**

**მარიამ აქუბარდია:** ხელოვნებას აქვს შესაძლებლობა დაგანახვოს ის, რასაც ხშირად ვერ ვხედავთ და რეალობის მიღმა არსებობს. ხელოვნებას შეუძლია დაგვაფიქროს იმაზე, რაც ჩვენთვის ხშირად შეუმჩნეველია.

**გურამ საყვარელიძე:** მხოლოდ ხელოვნების მეშვეობით არის შესაძლებელი საუბარი რაციონალური აზროვნების მიღმა, პირობითი სიმართლეთების დანგრევა ან სულაც ახალი მნიშვნელობების შექმნა. ყოველივე ეს ხელს უწყობს ადამიანებს შორის ძლიერი კავშირების დამყარებას.

**WHAT IS AN ARTIST ABLE TO DO THAT OTHERS CAN'T?**

**Mariam Akubardia:** Art has the possibility to show us things that are visible otherwise and are beyond reality. Art can make us think about things that are often not noticed.

**Guram Sakvarelidze:** Only through art it is possible to talk about the things that are beyond rational. Deconstructing conventional truths and giving them new meanings. All of these helps create strong bonds between humans.

**რის მოსმენას ისურვებდით თქვენი ნამუშევრის მაყურებლისგან?**

**მარიამ აქუბარდია:** ჩემთვის მნიშვნელოვანია მნახველმა გაიგოს ის, რის თქმასაც ვცდილობ და ასევე დააკავშიროს ჩემი ნამუშევარი საკუთარ თავს.

**გურამ საყვარელიძე:** მსურს, გავიგო ჩემი შემოქმედების რეალური შეფასება მნახველისგან.

**WHAT WOULD YOU LIKE TO HEAR ABOUT YOUR ART FROM YOUR VIEWERS?**

**Mariam Akubardia:** To me, it is important that viewers understand what I want to say and connects themselves with my art.

**Guram Sakvarelidze:** I would like to hear what they really think about my work

## **როგორ აღმოაჩინეთ თქვენი გამოხატვის ის ხერხი, რომელსაც ახლა იყენებთ? და რას ასახავს თქვენი ნამუშევრები?**

**მარიამ აქუბარდია:** გამოხატვის ის ხერხი, რომელსაც ახლა ვიყენებ აღმოვაჩინე იმ ყველაფრის უარყოფით რაც მასწავლეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში. სწორედ აქედან დავიწყე საკუთარი ვიზუალური თუ კონცეპტუალური გზების ძიება, დამოუკიდებლად.

**გურამ საყვარელიძე:** ყოველთვის მიტაცებდა წერა, როგორც ლექსების, ისე მოკლე მოთხრობებისა და ესეების. ასევე, მიყვარს ვიდეოების შექმნა რაც, ზოგ შემთხვევაში გულისხმობს კადრირებას. სწორედ ასე მივედი კომიქსამდე - თხრობის ხერხამდე, რომელიც გულისხმობს ტექსტისა და ნახატის სინთეზს. ძალიან გამიმართლა, რომ მარიამი მხატვარი არის და შეუძლია ჩემ მიერ დაჯღაბნილი მონახაზები ნახატებად გარდაქმნას.

## **HOW DID YOU DISCOVER THE METHOD OF YOUR EXPRESSION THAT YOU ARE USING, AND WHAT DOES YOUR WORK DESCRIBE?**

**Mariam Akubardia:** The method which I am using currently I discovered by denying everything they taught me at Tbilisi Academy of fine arts. Only after this, I started looking for my visual and conceptual way of expression.

**Guram Sakvarelidze:** I've always been enthralled by writing, poems as well as short stories and essays. I also love to make videos, which in some cases includes storyboarding. This is how I ended up with comic books – a way of storytelling that involves the synthesis of texts and photos. I am very lucky that Mariam is a painter and can turn my ramblings on paper into paintings.

## **თქვენი აზრით როგორ მუშაობს ხელოვნება სამყაროსა და ადამიანის მიერ შექმნილ კანონებში?**

**მარიამ აქუბარდია:** არსებობს მოსაზრება, რომ თითქოს ხელოვნება კანონებს მიღმა არსებობს და განთავისუფლებულია ჩარჩოებისგან. თუმცა, სიღრმეებში თუ ჩავალთ, მივხვდებით, რომ საბოლოო წერტილში, ხელოვნება მაინც კანონების ქვეშ არის მოქცეული. მაგალითად, ადამიანის მიერ შექმნილი, ყველაზე ღირებული კანონი ჰუმანიზმი არის. ხელოვნებაც გარკვეულწილად ამას ემსახურება.

**გურამ საყვარელიძე:** ჩემი აზრით, გამოხატვის მოთხოვნილება ყველა ადამიანს აქვს, რადგან არავის სურს მარტოობაში და უსასრულო აბსურდსა თუ ქაოსში არსებობა. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, ხელოვნება შესაძლოა იყოს როგორც ადამიანისა და სამყაროს მიერ შექმნილი კანონების ფარგლებში წარმოებული კონტროლის მექანიზმის ნაწილი, ემსახურებოდეს გამოხატვის ჟინის დაკმაყოფილებას, ან სულაც გააზრებულად ანგრევდეს არსებულ შეხედულებებსა და „სიმართლეს“.

## **WHAT DO YOU THINK, HOW DOES ART WORK IN A WORLD OF THE LAWS CREATED BY HUMANS?**

**Mariam Akubardia:** Some might think that art is beyond laws and that it is free from its confines, but if we dive deep into it, we'll see that at the very endpoint, art still remains under these laws. For instance, the most precious law created by humans is humanism, and art in a way serves this law.

**Guram Sakvarelidze:** I think all humans desire to express themselves, for they don't want to exist in this lonely and endless chaos of absurdity. Considering this, a tool for a control created in accordance with the laws of the universe and humans, it can also be a mere desire to express one's self or to intentionally deconstruct the existing views and “truths”.

## **რა ამოძრავებს თქვენი პიროვნების ხელოვნან ნაწილს, რომ შექმნათ?**

**მარიამ აქუბარდია:** დაგროვილი ინფორმაცია არ მასვენებს, სანამ რაიმე სახის ფორმას არ მიიღებს.

**გურამ საყვარელიძე:** ჩემს შემთხვევაში ეს სურვილია, შევქმნა რაღაც ახალი.

## **WHAT DRIVES YOUR INNER ARTIST TO CREATE?**

**Mariam Akubardia:** All the information around makes me restless until I don't turn it into something.

**Guram Sakvarelidze:** In my case, it is the desire to create something new.